

K 84464  
K 3

K 84.464

3

# უკუნე მსოფლიო

უწყებად მიხვსა ქართულთა  
მთქცუვისასა,  
თუ რომელთა  
წიგნთა შინა  
მოიჯსენების

საქართველო  
საბჭოთა



ЕФРЕМ МЦИРЕ

Повествование об обращении грузин—  
о том, в каких книгах об этом  
упоминается

Текст издала, введением, указателями и словарем снабдила

Т. М. БРЕГАДЗЕ

281.97+9(1992)/(001)+091(1992)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი


ეფრემ მცირე

უწეებაჲ მიზესსა ქართველთა მოქცევისასა, თუ  
რომელთა წიგნთა შინა მოიკსენებინ

ტიქსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო  
თ. ბრეზაძემ

K84.464  
3

საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის  
ბიბლიოთეკა



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის ეფრემ მცირის ორიგინალური ნაშრომია. ნაშრომი ისტორიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს გაარკვიოს და დაასაბუთოს ბერძნული წყაროების მიხედვით საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან ზოგიერთი სადავო საკითხი ქართველთა მოქცევისა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების შესახებ.

რამ გამოიწვია ასეთი ნაწარმოების შექმნა?

XI საუკუნის საქართველო პოლიტიკურად ძლიერ და კულტურულად მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა. საქართველოს ანგარიშს უწევდნენ უცხო სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში: „ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გელცერი ამბობს, რომ უკვე მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები და სომხები «მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ქვეიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი»-ო<sup>1</sup>. ცნობილი და სახელგანთქმული იყო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები როგორც შინ (ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვ.), ისე გარეთ (ათონი, შავი მთა, პალესტინა). ჯერ კიდევ აღრიდანვე არსებობდა მრავალი ისეთი სამწიგნობრო ცენტრი უცხოეთში, სადაც თავისი სწავლულობითა და პოლიტიკური მომხადებით თავი გამოიჩინა ბევრმა ქართველმა მოღვაწემ (ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელეში და სხვ.). საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ძლიერება ბუნებრივია სასურველი არ იყო დაპყრობითი პოლიტიკის მატარებელი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც იყო ბიზანტია.

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1943, გვ. 141.



✦ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი გავლენის მეზობელ ქვეყნებზე, ბიზანტიის სახელმწიფო ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და საიმედო საშუალებას ბიზანტიელებისათვის ასეთ ბრძოლაში წარმოადგენდა ქრისტიანობის მქადაგებლის როლში გამოსვლა.

ეფარებოდნენ რა ქრისტიანობის დროშას, ისინი „მასწავლებლის“ როლში გამოდიოდნენ „ბარბაროსების“, ე. ი. არა ბერძნების მიმართ და მოითხოვდნენ სათანადო „პატივისცემასა“ და „ყურადღებას“.

კერძოდ, ქართველების მიმართ ასე იქცევოდნენ: ქადაგებდნენ მათ უვიცობაზე, უწუნებდნენ თარგმანებს, ეჭვი შეჰქონდათ ქართველების მართლმადიდებლობაში და აბრალებდნენ მწვალებლობას, სურდათ დაემტკიცებიათ ქართველთა ეკლესიის დამოუკიდებლობის უკანონობა, ავიწროებდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, აწიოკებდნენ ქართულ მონასტრებს და სხვა.

ამის შესახებ კარგად მოგვითხრობს გიორგი ხუცესმონაზონი თავის თხზულებაში—„ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“:

„რამეთუ კაცნი ვინმე სუმონწმიდელნი შურითა საეშმაკოთა აღიძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა, და ენება, რათამცა ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმოფხურეს სუმონ წმიდით და განიზრახეს გულარძნილებით, რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი რაჲმე დასწამონ და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფხურნეს, და დიდებულისა ამისგან ლავრისა პირველითგან თვთ წმიდისა სუმონის მიერ დამკვდრებულნი და ესრეთ ბოროტად შეიზრახნეს“<sup>1</sup>.

✓ ბერძენი ბერები თურმე დაბეზლებებსაც არ ერიდებოდნენ, მაგ.: „რამეთუ არს მონასტერს შინა ჩუენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ იღებენ თავთა თვსთა და არა უწყით, თუ რასა ზრახვენ ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი...“<sup>2</sup> ან „ვითარ... რომელ ეკლესიანი და მღვდელმობღლუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა გელმწიფებასა ქუტუმს არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თვთ დაისუშენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტა

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 312.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 312—313.



მოციქულთაგანი არაეინ მისრულ არს ქუწყანასა მათსა და არს, რათა ქალაქსა ამას ღუთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისს ველმწიფებასა ქუშე იყვნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსო მცირე, და ჩუწნდა მახლობელად არიან, და ჯერ არს, რათა ველმწიფებასა ქუშე ანტიოქიისა პატრიარქისასა იმწყსებოდინ, და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყუნეთ ჩუწნ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს<sup>1</sup>.

✦ უცხოეთში მყოფ ქართველებს, რომელნიც ეწეოდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას, ბრძოლა უხდებოდათ ასეთი განოტორების წინააღმდეგ. ისინი მტკიცედ იცავდნენ ქართველი ხალხის მონაპოვარსა და მათ სურვილს მდგარიყვნენ მოწინავეთა რიგებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი მოღვაწეები არაფრით არ ჩამოუვარდებიან სხვა არაქართველ წმიდანებს, კერძოდ ბერძნებს. იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო ქართველ მოღვაწეთა ღვაწლი, სწერდნენ მათ ბიოგრაფიებს. რომ არ დაეწამებიათ მწვალებლობა და დამახინჯება ნათარგმნი ლიტერატურისა, ცდილობდნენ ზუსტად გადმოეცათ თარგმანები. ცდილობდნენ თითქმის ყველაფერი ეთარგმნათ, რაც კი ბერძნების ენაზედ არსებობდა. იცავდნენ რა ქართული ეკლესიის პრესტიჟს, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდნენ ქართველთა მოქცევის საკითხს, რასაც ერთგვარად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტისა და მისი დამოუკიდებლობის ქონიერებისათვის.

ქართველთა მოქცევის შესახებ მასალების ძიებამ მრავალი სხვადასხვა და ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო ფაქტი დააგროვა. მაგალითად, ჯერ მარტო ნინოს ცხოვრებაში მოთხრობას „პატიოსნისა ჯვარისათჳს“ ქართლის მოქცევა მიაწერს იაკობ მღვდელს, რომელიც უნდა იყოს საბერძნეთით მოსული. ნინოს ცხოვრების სხვა ვარიანტებში კი იაკობი არავითარი მოთხრობის ავტორად არ იხსენიება.

ნინოს ცხოვრების მერვე თავი, რომელსაც ქართლის მოქცევა მიაწერს სიღონია დედაკაცს, სხვა ვარიანტებში ცნობილია აბიათარის ნათქვამად და ა. შ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბილისი 1901, გვ. 314.

<sup>2</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, 1891, ტფილისი, გვ. XVI—XVIII.

ქართლის მოქცევის ამბებში შეუსაბამობანი ჯერ კიდევ XI საუკუნეში აღნიშნეს ქართველმა მოღვაწეებმა არსენ სპერციანმა და ნიკოლოზ გულაბერისძემ.

ამ აღრევის გამო გადაუმეტაფრასებია არსენ ბერს ნინოს ცხოვრება. აი რას ამბობს იგი წმ. ნინოს ცხოვრების ბოლოში:

„წმინდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოჲს ცხოვრებაჲ შეუწყობელად და განბნეულად ქართლისა მოქცევასა თანა და ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თუთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან, სხუა იაკობ მღდელისაგან, სხუაჲ აბითარისგან, სხუაჲ კულად სიდონიასგან, გარნა წინაჲ უკან და უკანაჲ წინ, იგივე და ერთი პირი; და ამისათჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაურ; ამის პირისათჳს დაფარულად მდებარე იყო თანა წარვჰტდებოდეთ მოთხრობასა ლუაწლისა მისისასა დღესა ჭსენებისა მისისასა, რომელი ესე დიდი ზღვევაჲ არს ყოველთა მორწმუნეთათჳს და უფროჲსად ჩუენ ქართველთა სასწაულთა, შრომათა და ლუაწლთა მისთა დავიწყებასა მიცემაჲ“<sup>1</sup>.

ასევე წინააღმდეგობით მოცული იყო ქართველთა მოქცევის ამბავი, ერთი მხრივ, ანდრია მოციქულისა და, მეორე მხრივ, წმიდა ნინოს მიერ.

უცხოეთში მოღვაწე ქართველები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას საღვთისმეტყველო პაექრობებში, გრძობდნენ ამ საკითხებში წინააღმდეგობების მოგვარების აუცილებლობას. ამ მხრავ განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობა. ამ საქმეს ემსახურებოდა ეფრემ მცირის თხოვრება „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“.

ეფრემ მცირის მოღვაწეობის დროს შავ მთაზედ მცხოვრებ ქართველებს შორის ეტყობა მწვავედ დასმულა საკითხი და გაჩენილა სურვილი, რომ ქართველთა მოქცევის საკითხებში არსებული წინააღმდეგობები მოეგვარებინათ და მის შესახებ ცნობები ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათჳს ხელმისაწვდომი გაეხადათ.

<sup>1</sup> იხ. კარბელაშვილის გამოცემა წმიდა ნინოს ცხოვრებისა, გვ. 51—52; ჭ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 292.





როგორც ეფრემ მცირის შრომის დასაწყისში ვკითხულობთ, ეს საქმე ქართველთა ეკლესიარხს, მღვდელს იოანე-კვრივეს ეფრემ მცირისათვის დაუვალეზია. †

„ჯერ-იყო ამასცა ზედა ჩემგან სრულ ყოფად ბრძანებაჲ შენი, რაჲთა წერით დაიდვას მას შინა<sup>2</sup> მოსაქსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენისაჲ და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ქსენებულ არს იგი, უკმდეს თუ ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად“<sup>3</sup> და შემდეგ:

„ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ჯერ-ჩინებითა შენითა კაცო ღუთისაო, რომელმან-ეგე უწყვი, ვითარ მრავალნი მრავალგზის ამათ პირთათჳს გუჟკითხვიდეს და დაჰბრკოლდებოდეს ჩუენთჳს უმეცრებით“<sup>4</sup>.

† ეფრემ მცირეს ამ შრომის წერის დროს გამოუყენებია მისგან მოწონებული, იოანე დამასკელის მეთოდი, მოწინააღმდეგეს მისივე საკუთარი იარაღით უნდა ებრძოლოო: †

„ვითარმედ ესევეთარი არს საფილოსოფოსოჲ სწავლაჲ, რომელი იგი აქაცა საჭიროდ საჭმარად შემოუღლებიეს წმიდასა იოვანე დამასკელსა, რაჲთა ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგურომდენ მათ; რამეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათასა სხუშბრ შეუძლებელ არს სიტყუსგებაჲ წინააღმდგომთაჲ, სიტყუაჲ გვგებდენ რაჲ გარეშენი იგი განუკუჴთელისათჳს, რომელ არს გუჟამი და ბუნებისათჳს; რომლისათჳსცა ჯეროვნად მოუხუშმან ესე წმიდასა იოვანე დამასკელსა და ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს ვენაჯისა ამის თჳსისა ნაყოფთა შუშნიერებაჲ“<sup>5</sup>.

† ასეთი იარაღი ამ შემთხვევაში ეფრემ მცირისათვის იყვნენ ბერძენი ავტორები და მათი გადმოცემები ქართველთა მოქცევის შესახებ, რომლებიც ქართველების და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებების სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

<sup>1</sup> ამ იოანე-კვრივეს სხვა დროსაც მიუცია ეფრემისათვის დავალებანი: „თჳნიერ მცირედთა წიგნთაჲსა ყოველნივე მან ათარგმნინა მისითა საჭმარითა და წარსაგებელითა“ (დაყოფა ჩემია—თ. ბ.); „უწყებაჲ...“ გვ. 3, მინაწ.

<sup>2</sup> იგულისხმება წიგნი „სადღესასწაულო“, რომელიც გაუქეთებიათ (!) იმავე იოანე-კვრივეს ბრძანებით და რომლის ბოლოშიაც დართული ყოფილა ეფრემ მცირის ეს თხზულება.

<sup>3</sup> „უწყებაჲ...“ გვ. 3.

<sup>4</sup> „უწყებაჲ...“ გვ. 11.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდი № 24, იოანე დამასკელის „გარდა-მოცემის“ ქართული თარგმანის შესავალი; შესავალი ეკუთვნის ეფრემ მცირეს; მიმოძიებული, 1926, ტ. I, გვ. 184.



ახლა, როგორ გამოიყენა ეს იარაღი ეფრემ მცირემ? როგორც ვიცით, ბიზანტიელები აბრალებდნენ რა მწვალებლობას ქართველებს, ერთ-ერთ საბუთად მოჰყავდათ ის, რომ ქართველები თარგმანებში ამახინჯებდნენ ბერძნულ ორიგინალებს თავიანთი მწვალებლური აზრებითო<sup>1</sup>, და უნდობლობას უცხადებდნენ მათ ნაწერებს. ამიტომ ამ დაძაბული ხანის ქართველი მოღვაწეები და მათ შორის ეფრემ მცირე დაადგა ზუსტად თარგმნის მეთოდს<sup>2</sup>. მაშინ, როდესაც ბერძნულში გადმოსათარგმნი თხზულების ორი რედაქცია არსებობდა, ანდერძ-მინაწერების სახით ურთავდნენ ასეთ თავის დამზღვევ სიტყვებს:

„ამათ დიდთა მოწამეთა ორორი აქუს წამებაჲ, უძულესი და უახლესი, არათუ უმრუდესი და უმართლესი, არამედ უცხადესი და უღრმესი ეგრეთვე აქუნდნენ ამასცა მეორე ესე პირველსა თანა. რამეთუ ბერძენთაცა ესრეთ აქუს, რაჲთა რომელიც სთნდეს მას იკითხვიდეს“<sup>3</sup>.

✓ თავის გასამართლებლად სიტყვებს „ბერძენთაცა ესრეთ აქუს“ ჩვენ ხშირად ვხვდებით ჩვენი ხელნაწერების ფურცლებზე, და განსაკუთრებით ეს სიფრთხილე—არაფერი დასწამონ ქართველებს და რომ ქართველები არაფერს აკეთებენ რასაც ბერძენები არ გააკეთებენ ან არ გაუკეთებიათ—ახასიათებს ეფრემ მცირეს. ასეთ გამართლებას ქართველებისას ჩვენ ეფრემის ამ შრომაშიაც ვხვდებით: ✦

✓ გარნა ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალყამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან, არა ხოლო ჩუენ შორის, არამედ თვთ მათ ბერძენთაცა შორის, ვიდრე ჟამთაღმდე მეორედ პავლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა. ამის კეთილად მსახურისა მეფისა ჟამთაღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალ თესლთა ტომთათჳს

<sup>1</sup> გულისხმობდნენ თავისუფალ თარგმანებს.

<sup>2</sup> მას მოსწონს გიორგი მთაწმიდლის თარგმანი „საწინასწარმეტყუელო საწელიწდოსი“, რადგანაც აქ ბერძნული სიტყვის ნაცვალ ქართული შესატყვისიაო მოცემული, „ვაქებ წესსა საწინასწარმეტყუელოთა წინათა მთარგმნელისასა, რომელთაგანი მცირედი რაჲ გაეკონების უსწავლელთა, გინათუ ზოგსრე სწავლულთა მიერ, გარნა სიტყუაჲ სიტყუსა ნაცვალი შედარებულთა“. თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 216.

<sup>3</sup> „წამება წმიდათა მოწამეთა მარკიანე და მარტკრისი, რომელნი იყვნეს მწიგნობარი და მოწაფე პავლე აღმასრულებელისა კონსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა“-ზე დართული ეფრემ მცირის ანდერძიდან, იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი № 384, გვ. 488.



იზრუნა, არცა ჩუენ მცირენი დაგვტევნა უღუაწად, არამედ ესტრეთ განაგო კუალად აღმოწოდებამ ჩუენი, ვითარცა მოიქსენებს დორიტე საეკლესიოჲსა მართხრობისა წიგნსა შინა თჳსსა. ოცლა-მეოთხესა თავსა...“<sup>1</sup>

† რასაკვირველია, ასეთ პირობებში ეფერემ მცირე ისეთ საპასუხისმგებლო შრომაში, როგორიცაა „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ ბერძენი ავტორების ცნობებს ზუსტად, თითქმის სიტყვისიტყვით მოათავსებდა. მართლაც ეფერემი მისთვის ჩვეული სიზუსტით გადმოგვცემს ბერძნული ტექსტის შინაარსს ქართულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ მაგალითებს:

† არ არის ქართულში: „και πρισφερεν, ὃς ἐνήν, τὰ θεία παίδεσμα“<sup>2</sup>.

„ἐπιγλαγγη τὸν ζῶφου“<sup>3</sup>.

ცოტათი აღამაზებს: „ἐνήν δὲ ἦν ἀντήν και σερμυνη μαλακή σάκκως ἐπὶ τὸν δεσπῆδου καμνηπλαμῆνος“ —

„და ლბილ სარეცველ თჳსსა აქუნდა ძაძა და რეცილ იატაკსა ზედა მიწისასა“<sup>4</sup>.

„ἦ δὲ τὸν το λαβῖσσα και εἰς τῆν ἐνήν κατὰ κλῖνα“ —

„ხოლო ღირსმან მან მიიყვანა ყრმა იგი უძლური და მიაწვინა თჳსსა მას ზედა ცხედარსა მოღუაწებისასა“<sup>5</sup>.

„Χριστὸν και ἄρχυρον και χιτῶνας και ἀμπεχῶνας“ —

„ოქროა და ვეცხლი შესამოსლები და სამკაული“<sup>6</sup> (ბერძნულში „χιτῶνας και ἀμπεχῶνας“, შესამოსლები და შესამოსლები).

„και ὁ μὲν συνηρεσονταις τῆς ἀκτινὸς συνημῶς ἀπῆλαστο“ —

„ხოლო თანამონადირენი იგი მისნი ჩუშულებისაებრსა მას ხედვიდეს შარავანდელსა მზისასა“<sup>7</sup>.

† განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შესწორება, რომელიც ეფერემ მცირეს შეუტანია თარგმანში. ბერძენები, როგორც ვიცით, ყველა უცხოელს ბარბაროსად მოიხსენიებდნენ. აქაც თეოდო-

<sup>1</sup> უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების, გვ. 4.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 6.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 7.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 4-5  
<sup>5</sup> იქვე, 5 8-10  
<sup>6</sup> „უწყებამ...“, გვ. 6.  
<sup>7</sup> იქვე, გვ. 7.



რიტე ქართველის ადგილას ბარბაროსს ხმარობს. ეფრემ მცირემ ქართველებისათვის ეს შეურაცხყოფელი სიტყვა „*ὁ βαρβαρος*“ „ბარბაროსები“ „ნათესავნი“-თ შეუცვლია.

„*ἔπειθε γὰρ οἱ βαρβαροὶ τῆς ἰατροῦς σπανίζοντας ἐπιστήμης εἰςφάσιν ἀρρωστούσιντες πρὸς ἀλλήλους φοιτᾶν*“ —

„ხოლო ვინაჲთგან ნათესავნი იგი არა რასა მეცნიერ იყვნეს ჯელოვნებასა მკურნალობისასა ამისთჳს მიმოვიდოდინან ხილვად სნეულთა“<sup>1</sup>.

ეფრემ მცირის შრომა „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ ეხება შემდეგ საკითხებს:

1. ანდრია მოციქულის მოსვლას საქართველოში<sup>2</sup>.

2. წმიდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევას, კერძოდ ნანა დედოფლისა და მირიან მეფის მოქცევას, მირიანის მიერ ტაძრის აშენებას და ბერძენთა მეფის კოსტანტინეს მიერ მღვდლების გამოგზავნას.

3. თუ როდის იწყეს თვთ ჯელთდასხმა კათალიკოსებისა და მირონის კურთხევას.

4. აფხაზთა მოქცევას.

განვიხილოთ ცალცალკე.

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს ეკუთვნის ანდრიას და წმიდა ნინოს მოღვაწეობის ამბებიც, ე. ი. თუ ანდრიამ მოაქცია ქართველები, მაშინ მეოთხე საუკუნეში რაღა საჭირო იყო ნინოს მოღვაწეობა? რატომ დაჭირდათ ანდრია მოციქულზე ლაპარაკი? მით უმეტეს რომ ანდრიას მიმოსვლის შესახებ თქმულება IX საუკუნემდე არც ქართულ და არც უცხო წყაროებში არ მოიპოვება<sup>3</sup>.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის შესახებ ამბობს:<sup>4</sup>

„იმ საკითხის გამოძიებას, თუ რომელმა მოციქულმა გაავრცელა ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ჩვენი წინაპრები მა-

<sup>1</sup> „უწყებაჲ...“ გვ. 52-3.

<sup>2</sup> ეფრემ მცირეზე ადრე ცნობა ანდრიას მიმოსვლის შესახებ პირველად გამოიყენა გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მესამესთან კამათში იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 34.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხილეთ ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა, მოამბე, 1900, № 5-6, გვ. 38-48.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 38.



შინ შესდგომოდნენ, როცა ანტიოქიის პატრიარქი ქართულ ეკლესიას თვითმმართველობას აძლევდა, — ინიტომ რომ ეკლესიის მმართველობისათვის ძველად აუცილებლად საჭირო იყო, რომ იქ ერთ-ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს დაემყარებინა ქრისტიანობაჲ.

მაგრამ, როგორც მასალებიდან ჩანს, მძიმე საგარეო პირობების გამო (იგულისხმება მაჰმადიანებთან ბრძოლა), მაშინ არავის მოუთხოვია ამ პირობის დაცვა და IX საუკუნემდე არავის არ გახსენებია ანდრია მოციქულის<sup>1</sup> მოღვაწეობა. ხოლო XI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ექვი შეიტანეს ქარველთა ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერებაში, მაშინ კი საჭირო გახდა ამ საკითხის მოგვარებაც და ეფრემ მცირემაც წინააღმდეგობა ჯერ ანდრია მოციქულისა და შემდეგ ნინოს მიერ ქართველთა მოქცევის ამბავში შემდეგნაირად გადაწყვიტა.

ეფრემით პირველად საქართველოში ქრისტიანობა ანდრია მოციქულმა იქადაგა. აქ მიმოსულა მოციქული ბართლომეც, მაგრამ შემდეგ „ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალქამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან“, მაგრამ არა მარტო ჩვენ შორისო — ამბობს ის — „არამედ თუთ მათ ბერძენთაცა შორის, ვიდრე ჟამთაღმდე მეორედ პავლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა“-ო, ხოლო შემდეგ „ღ-ნი რომელმან დიდთა და მრავალთესლთა ტომთათჳს იზრუნა არცა ჩუენ მცირენი დაგტყვნა უღლუაწად, არამედ ესრეთ განაგო კუალად აღმოწოდებაჲ ჩუენი“ და გამოგვიგზავნა წმ. ნინოო. და რომ ეს ასე იყო, აქ იმოწმებს ბერძენ ისტორიკოსს თეოდორიტეს<sup>2</sup> და ვვაგრე ანტიოქელს<sup>3</sup>.

2. წმიდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევისა და კოსტანტინეს მიერ ანტიოქელი პატრიარქის ეგსტათის გამოგზავნას, რომელმაც უკურთხა ქართველებს კათოლიკოსი და მთავარეპისკოპოსი, ეფრემი მოგვითხრობს თეოდორიტეს ისტორიის მიხედვით.

<sup>1</sup> როგორც ვიცით, ბიზანტიურ წყაროებში ანდრიას მიერ მოქცევა ქართველებისა არსად არ არის ნახსენები. ცნობები მას სკვითთა მოქცევას მიაწერენ (იხ. მაგ., ორიგენი).

<sup>2</sup> იხ. მისი საეკლესიო ისტორია დაწერილი 448—449 წწ. საქართველოს შესახებ ცნობები თეოდორიტეს გელასი კესარიელისაგან უნდა გადმოვლოს. IV საუკ. მოღვაწის გელასის ეს ნაშრომი ბერძნულ ენაზედ დაკარგულია.

<sup>3</sup> შეადგინა თავისი საეკლესიო ისტორია VI საუკუნის დასასრულს.



3. თუ ოდეს იწყეს თვთველთ დასხმად და მირონის ხევა, ამის შესახებ მასალები ეფრემ მცირეს ანტიოქიას ალწერილთა ხრონოლორაფიდან ამოუკრებია.

„ხოლო თუ ოდეს იწყეს თვთველთ დასხმად და ვითარმედ არა თვთველთ წესისა და ბრძანებისა, ესე ვიპოეთ ხრონოლორაფსა შინა ანტიოქიას ალწერილსა“<sup>1</sup>.

ამ ხრონოლორაფს ჩვენამდე არ მოუღწევია, სამაგიეროდ არსებობს ეფრემ მცირის დროის და შავ მთაზე მისი თანამოღვაწის ნიკონ შავმთელის<sup>2</sup> პანდექტების სლავური თარგმანი. ამ ხრონოლორაფის ავტორს ქართველთა მოქცევის შესახებ იგივე მასალა აქვს გამოყენებული, რაც ეფრემ მცირეს. ეს ბუნებრივიცაა. ამ ავტორებს ერთნაირად მიუწვდებოდათ ხელი შავი მთის წიგნთსაცავებში დაცულ წყაროებზე. ნიკონ შავმთელის პანდექტების სლავურ თარგმანში მოთავსებული ანტიოქური ხრონოლორაფის ცნობების შედარებამ ეფრემ მცირის ანტიოქური ხრონოლორაფის ცნობებთან გვიჩვენა, რომ ანტიოქური ხრონოლორაფის ცნობები ეფრემ მცირეს ზუსტად გამოუყენებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიოქური ხრონოლორაფი სხვა ავტორებსაც გამოუყენებიათ, მაგ., იოანე მალალას<sup>3</sup>. იოანე მალალას ისტორია, რომელიც 553 წლამდეა მოყვანილი, XI საუკუნეში უთარგმნიათ ძველ ბულგარულ ენაზე. ეს თარგმანი უფრო სრულია ვიდრე დღეისთვის არსებული ბერძნული ტექსტი ამ ნაშრომისა<sup>4</sup>.

ფიქრობდნენ, რომ მალალას ისტორია ქართულ ენაზედაც უთარგმნიათ XI—XII საუკუნეებში<sup>5</sup>, მაგრამ ამის კვალი არსად ჩანს.

<sup>1</sup> „უწყებამ...“, გვ. 826-28.

<sup>2</sup> ნიკონ შავმთელი XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწე, სვეონ საკრველთ-მოქმედის ეკლესიაში ჰიერომონაზად ითვლებოდა. მას ეკლესიის ორი წიგნი ბერძნულ ენაზედ დაწერილი: 1. პანდექტები და 2. ტაქტიკონი — „შემოკლებული პანდექტები“. ამ პანდექტებში საინტერესო ფაქტებია მოთავსებული იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქების, იბერიის ეკლესიის ისტორიიდან, რომელიც ადრე დამოკიდებული იყო ანტიოქიის საპატრიარქოზე. ნიკონ შავმთელის ტაქტიკონი და პანდექტები ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნის მიჯნაზე ითარგმნა სლავურ ენაზედ.

<sup>3</sup> VI ს. მოღვაწე.

<sup>4</sup> როგორც მ. ობოლენსკი აღნიშნავს, მალალას ისტორიის სლავური თარგმანი მოთავსებულია «История Переяслава Суздальскаго»-ს ხელნაწერში, რომელიც მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში ინახებოდა. იხ. «Временник Московского Общества истории и древностей Российских»; кв. IX, М. 1851.

<sup>5</sup> Люблинская А. Д. Источниковедение истории средних веков, Ленинград, 1955, გვ. 34.



4. აფხაზთა მოქცევისა და იუსტინიანეს მიერ ტაძრის აშენების შესახებ ცნობები ეფრემ მცირეს გამოუყრებია ევაგროს ტოქელის საეკლესიო ისტორიიდან.

ეფრემ მცირეს თავის შრომაში საკითხები არაჩვეულებრივი თანამიმდევრობით აქვს დალაგებული. თხრობის დროს საკითხები ერთიმეორიდან გამომდინარეობს და შეძლებისდაგვარად უპასუხოდ არც ერთ წამოჭრილ საკითხს არ ტოვებს.

ეფრემ მცირე ძუნწად, მაგრამ მაინც აქა-იქ იყენებს მხატვრულ გამოთქმებსაც, მაგ., „ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოგვირბენ“<sup>1</sup>.

„გარნა ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალყამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან...“<sup>2</sup> და სხვ.

## ეფრემ მცირის ნაშრომის გამოძახილი ქართულ მწერლობაში

ეფრემ მცირის ნაშრომი „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ შემდეგში გამოუყენებიათ სხვა ქართველ ავტორებსაც.

ქართველთა მოქცევის ამბებში წინააღმდეგობების მოსაგვარებლად შემდეგ ხანაშიც მუშაობდნენ. ამგვარი მოღვაწეობის დროს ავტორებს ეფრემ მცირის ამ ნაშრომიდანაც გამოუყენებიათ ადგილები. სამ მხრივ აღსანიშნავია XII საუკუნის მოღვაწე არსენ ბერი, გადამეტამფრასებელი ნინოს ცხოვრებისა და რუის-ურბნისის ძეგლის-წერის ავტორი. XII საუკუნის მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე, ავტორი შრომისა „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“<sup>3</sup> და კიდევ სხვები.

არსენ ბერს ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის დამუშავებისას ეფრემ მცირის დასახელებული შრომით ფართოდ უსარგებლია, კერძოდ გამოყენებული აქვს თეოდორიტეს ცნობა ნინოს

<sup>1</sup> „უწყებაჲ...“, გვ. 11<sup>16</sup>-17.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 4 9-10.

<sup>3</sup> გამოცემულია საბინინის მიერ, იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 69-118.



ქართლში მოღვაწეობის შესახებ<sup>1</sup>, ცნობები ევსტატი ანტიოქელის საქართველოში მოსვლისა, საქართველოს ეკლესიის ანტიოქიან დამოუკიდებლობის შესახებ<sup>2</sup> და ქართლში კათალიკოსთა თვთველთდასხმის შესახებ<sup>3</sup>. ადგილებს ეფრემ მცირის შრომიდან ქარსენ ბერი თავისი სიტყვებით გადმოგვცემს, ზოგჯერ შიგადაშიგ თხრობას განავრცობს სხვა წყაროებიდანაც.

რუის-ურბნისის 1103 წ. ძეგლის-წერაშიც ანდრიას მიმოსვლის ამბავი არსენ ბერს ეფრემ მცირის ნაშრომიდან სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოუღია, არამედ გაუზიარებია მისი შეხედულება, რომ ნინოძე საქართველოში მოღვაწეობდა ანდრია მუციქული, მაგრამ შემდეგ „სიმრავლესა შინა ქამისასა დაივიწყა ქადაგება იგი მოციქულისა და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია“<sup>4</sup>.

ევსტატი ანტიოქელის მოსვლას საქართველოში ასე აღწერს რუის-ურბნისის კრება.

არსენ ბერი

„რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან მეფეთა შორის დიდისა კონსტანტინესა მივლინებითა და მისგან გამოთხოვთა მეფობისა თვისისა ქალაქად მცხეთად შთაღოიყვანა ევსტათი დიდი საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაჲ, და წმიდათა მიერ ჳელთა მისთა ნათელ ილო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან. და თვთ პატრიაქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ჳელითა თვისითა შთადგა საფუძველი

ეფრემ მცირე

(ტაძრის აშენების შემდეგ ნინომ) „აზრახა მთავარსა ნათესავთასა, რაჲთა მიუვლინოს მოციქული მეფესა ბერძენთასა და ითხოოს მისგან მივლინებად მოძღუარი ღმრთის მსახურებისაჲ. და მან მიიღო რაჲ მცნებაჲ ესე მისგან, მოციქული წარავლინა, ხოლო მეფემან ისწავა რაჲ მიზნეი სათხოველისაჲ (რამეთუ კონსტანტინე იყო მჭურვალედ ტრფიალი ღმრთის მსახურებისაჲ), რომელმან-იგი ფრიადსა პატრესა ღირსყვნა მივლინებულნი იგი მისსა და

<sup>1</sup> იხ. ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი არსენი ქართლის კათალიკოსის მიერ. პ. კარბელაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1902, გვ. 22—23, 24, 26, 27, 34—35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35—36.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>4</sup> 1103 წ. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა: თ. ჟორდანი, კრონიკები, II, გვ. 58.





მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ. რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმედაჲ იგი. და ჭელთდასხმულ ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი კათოლიკოსი<sup>1</sup>.

კაცი ვინმე სარწმუნოებითა ცხოვრებითა და გულსჯმისყოფითა შემკობილი, ღირსქმნული მღვდელთ მთავრობისაჲ ქადაგად მოუფლინა ნათესავთა მათ უფრო-ასლა ფრიად მრავლითა ნიჭითა.

ამას უკუშ თეოდორიტე ესოდენ მოიგსენებს, ხოლო სხუათა წერილთა შინასახელდებით პოვნილ არს სახელი ტყვსაჲ მის ჩუენ ტყუშთა მგსნელისაჲ, რამეთუ ბერძულად ნონნა უწოდენ წმიდასა ამას, რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალე-ბით-რე ნინოდ სახელ ვსდებთ.

ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაჲ ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვთ ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიაქი, რომელმან დააწყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი...<sup>2</sup>.

▲ ნიკოლოზ გულაბერისძე ევსტატი ანტიოქელის მოსვლას საქათველოში კრიტიკულად უდგება და კითხულობს—როგორ არის, რომ საქართველოში ზოგი ცნობით ევსტატი ანტიოქელია გამოგზავნილი და ზოგით იოანეო, და თვითონვე იძლევა განმარტებას, რომ ევსტატი დროებით იყო გამოგზავნილი საქართველოში იმისათვის, რომ ქრისტეს სჯული დაემკვიდრებინაო, ხოლო იოანე აქ დასარჩენად მოავლინესო. „ხოლო პირველ ესე საცნაურ ვჰყოთ, რომელი ღირს არს ძიებისა, რამეთუ ვითა გვიპოვნიეს ბერძენთა წერილთაგან გადმოღებულ მცირედ გამოკრებული, ზოგსრე წმიდასა ნინოს მიერ მოქცევა ქართუშლთა ნათესავისა, ქეშმარიტი და უცთომელი თეოდორიტეს მიერ ანტიოქელ ფილოსოფოსისაგან აღწერილი წარმოჩენილ არს წმიდათა მამათაგან, რამეთუ უკუშ იგი თეოდორიტე, მეფისაჲ კოსტანტინესაგან წარმოვლენასა ეპის-

<sup>1</sup> თ. უორდანიი, ქრონიკები, II, გვ. 58—59.  
<sup>2</sup> „უწყებაჲ...“ გვ. 7<sub>18</sub>—8<sub>18</sub>

კობოზისასა, თუთ ევსტათი ანტიოქელ პატრიარქისასა იტყუის ქართლის განმართუსათუს საღმრთოთა ჰსჯულთა და საქმეთა განკითხვისათუს; ხოლო აქა იოანეს იტყუის და თუ ვითარ წინააღმდეგომ არს სიტყუა სიტყუისა ფრიად საძიებელ არს ესე უკუშ; უშქუელად არს, რამეთუ თუთ თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს, თეოდორიტე ქეშმარიტი უწყოდა, ვინადგან იგიცა ანტიოქიელი იყო, გარნა ევსტათის გუშრდით მაშინ უშქუელად იოანეცა ყოფილ არს, ევსტათი ამისთუს რათა მეფე და ყოველი ერი გზასა ვიდრემე ქეშმარიტებისასა დააყენოს და ასწაოს და განმართნეს ჰსჯულნი საღმრთონი და რაქამს დაამტკიცნეს, თუთ თავადი უკუშ კუალად იქცეს თუსსა მას საყდარსა, ხოლო იოანე რათა დაადგრეს და არა დაუტევნეს, ვითარცა ახალ ნერგნი და უსწავლელნი და საზრდელისა მტკიცისაგან ჯერეთ უცხონი და ჯერეთცა სძის მოქენენი“<sup>1</sup>.

არ არის მართალი ნიკოლოზ გულაბერისძე, როდესაც ამბობს „რამეთუ უკუშ იგი თეოდორიტე მეფისა კონსტანტინესაგან წარმოვლენასა ეპისკოპოზისასა, თუთ ევსტათი ანტიოქელ პატრიარქისასა იტყუის“. თეოდორიტე თავის ცნობაში სახელდებით არც ნინოს იხსენიებს და არც ევსტატის, ამის შესახებ თეოდორიტეს ცნობის ქვემოთ თვით ეფრემ მცირე ლაპარაკობს „...ამას უკუშ თეოდორიტე ესოდენ მოიქსენებს (ლაპარაკია ზემოთ თქმულზე), ხოლო სხუათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყუსაჲ მის ჩუენ ტყუშთა მქსნელისაჲ, რამეთუ ბერძულად ნონა უწოდენ წმიდასა ამას, რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალებითრე ნინოდ სახელ ვსდებთ.

ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაჲ ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თუთ ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი“<sup>2</sup>.

ეფრემ მცირის თხზულებიდან ადგილები მრავლადაჲ გამოყენებული ქართლის ცხოვრების ტექსტში. ამ მხრივ ეს თხზულება დაწვრილებით შესწავლილი და სათანადო ადგილები მოყვანილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს თავის წიგნში „ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა“. ამიტომ ამ საკითხზე აქ არაფერს ვამბობთ.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრებაში ეფრემ მცირის ამ თხზულებიდან ადგილები, როგორც თ. ჟორდანიას ფიქრობს

<sup>1</sup> საქართველოს სამოთხე, გამოცემული საბინინის მიერ, პეტერბურდი, 1882, გვ. 96.

<sup>2</sup> იხ: ტექსტი გვ. 86-16.



(იხ. ქრონიკები, I, გვ. 75), შეუტანია თეიმურაზ ბატონიშვილს, კერძოდ, „თუ ოდეს იწყეს თუთ ჯელთ-დასხმად\* ქართველებმა“

ეს ადგილი სიტყვასიტყვითაა გადმოღებული. მაგ.:

„და შეუქმნა მათ აღწერილი მოსახსენებელი თავისა თვისისათუს და შემოკრებულისა კრებისათუს და ჯელთდასხმულ ჰყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე, მის ჟამისა კათალიკოსად მათდა“<sup>1</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ადგილები შესულია, გარდა თეიმურაზისეულისა, ბროსეს, ბარათაშვილის, ქუთაისის, ფალავანდიშვილისეულ ნუსხებშიც. მხოლოდ სხვა ადგილას, თეიმურაზისეულში, ეს ადგილი სტეფანოზ მეორის მეფობაში შედის.

დაბოლოს, ეფრემ მცირის ამ თხზულებიდან ანტონ კათალიკოსს თავის გრამატიკაში ამოუწერია ადგილი წინადადების გარჩევისათვის:

„ეფრემ მცირის ქართულისა მოთხრობისაგან ქართულთა მოქცევისა. „ხოლო მან ბჭობით კრებისათა მთავარ ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თუსთათა მისცა ქართულთა განჯსნითი, რაჲთა თუთ მათისა საზღურისა ეპისკოპოსთაგან ჯელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა“.

აჲა ამას სიტყუასა შინა ნაცვალსახელი ესე რომელი „მან“ დადებულ არს ნაცულად ზმნის სახელისა ამის რომელი პატრიარქმან და წინა უკანად დადებულნი ძიებანი ზმნათანი, და რაჲცა აქუნდენ ძალით იგი ცხად ვიქმნენით აქა: ხოლო პატრიარქმან მან მისცა განჯსნითი ქართულთა, ბჭობითა კრებისათა მთავარ ეპისკოპოსთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თუსთა თანა, რათა დაესხმოდენ ჯელნი თუთ მათისა საზღურისა ეპისკოპოსთაგან ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა“<sup>2</sup>.

## ხელნაწერები და გამოცემები

ეფრემ მცირის შრომის „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“, რამდენიმე ხელნაწერი არსებობს:

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, გვ. 226.

<sup>2</sup> ანტონ კათალიკოსის გრამატიკა (პირველი რედაქცია), ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q—№ 881, გვ. 183 r; A 531, გვ. 178.

A 24 (ხელნაწერთა ინსტიტუტისა, (ყოფილი საეკლესიო ფონდი)—XII საუკუნის დამდეგისა. უშუალოდ გადაწერილია დედნოდან, ტექსტი სრულია და კარგადაა შენახული<sup>1</sup>.

გელ. 25, XIII საუკუნისა. ეფრემის ტექსტი დართული აქვს სჯულის კანონს ბოლოში. ტექსტი ნაკლულია. წყდება თითქმის ნახევარზე... „და მიერ დღითგან დაეწესა, რათა მოქსენებად ოდენ სახელისაჲ აქუნდეს ქართველთა შორის ანტიოქელსა პატრიარქსა და უკუჲთუ ოდესმე გამოჩნდეს წვალებად, მაშინღა მიაველინებდეს მუნ...“

H 256. (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი). ხელნაწერის თარიღი 1782 წ. ეფრემის ტექსტი აქ დართულია მხითარ სევასტიელის რიტორიკაზე. ტექსტი ნაკლულია. წყდება იქ, სადაც S 184, H 40 და იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან ხელნაწერი № 151.

S 184 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი). ხელნაწერის თარიღი 1809 წ. გადაწერილია დავით რექტორის მიერ. ტექსტი ნაკლულია. წყდება იქ, სადაც H 40, H 256 და იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან ხელნაწერი № 151.

„იოანე“. 151 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება. იოანე ბატონიშვილის კოლექცია). ხელნაწერის თარიღი 1851 წ. ნაკლულია. წყდება იქ, სადაც S 184, H 40 და H 256.

H 40 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი). XIX საუკუნე. გადაწერილია S 184-დან მიხეილ საბინინის მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელი 4 ხელნაწერი წყდება ერთ და იმავე ადგილზე.

1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნის, „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“-ს შესავალში მთლიანად დაუბეჭდავს ეფრემ მცირის „უწყების“ ტექსტი დავით რექტორის მიერ 1809 წ. 8 მაისს გადაწერილი ნუსხიდან, იხ. S 184 (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთასაცავი, ამჟამად ინახება საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). ხელნაწერში შიგადაშიგ გამოტოვებულია და ზოგჯერ დამახინჯებულია სიტყვები. იხ. გვ. XXXVIII—LVII.

1892 წელს თ. ჟორდანიას თავის ქრონიკების I ტომში ნაწყვეტების სახით მთლიანად გამოუქვეყნებია A 24. ნაწყვეტები მას მოთავსებული აქვს მოქცევაჲ ქართლისაჲს შინაარსობლივად შესა-

<sup>1</sup> ამ ხელნაწერში კარგად ჩანს გარდამავალი ხელი ნუსხურიდან მხედრულისაკენ.



ფერის ადგილებთან. ამან გამოიწვია ის, რომ ნაწყვეტები შინაარსობრივად თანამიმდევრობით არ არის წიგნში მოთავსებული, მაგ.: დასაწყისი მოთავსებულია 33—37 გვერდებზე. ამის მომდევნო ტექსტი—75—76 გვერდებზე, ხოლო ამის მომდევნო—47 გვერდზე. სულ ბოლო ნაწილი კი—53—54-ზე, ისე რომ, მთლიანი სახით, გაბმით თავიდან ბოლომდე, ეს ტექსტი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ გამოგვექვეყნებინა იგი უძველესი და კარგად შენახული ხელნაწერის მიხედვით. პარალელურად მოვათავსეთ ის ბერძნული ტექსტები, რომლებითაც უსარგებლია ეფრემ მცირეს.

### ტექსტისათვის

გამოცემისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვიყენეთ XII საუკუნის ხელნაწერი A 24. ტექსტის გამართვის დროს XIX საუკუნის ხელნაწერებს ცვლილება არ შეუტანია. ეს ხელნაწერები მხოლოდ ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ სხვაობებს იძლევიან.

ყოველ შემთხვევისათვის აქ აღვნიშნავთ ზოგიერთ ნიმუშს იმ თავისებურებებისას, რომლებსაც იძლევა XIX საუკუნის ხელნაწერები. ეს ხელნაწერები ყველა ნაკლულია.

ჟ-ბგერას ბევრ სიტყვაში აღარ ხმარობენ, მაგ.:

მოსაჯსენებელი—მოსახსენებელი.

ხმოვნით დაწყებულ არსებით სახელებთან ჰ იკარგება:

ჰინდოთა—ანდოთა—ინდოთა.

გ შეცვლილია უ-თი:

დაიდვას—დაიდლვას,

მათვე მათუშქ.

*ქარაილ - ქარაილ*

უა—ვა-თი:

ულუაწად—ულვაწად.

ა-ზე დაბოლოვებულ სახელებთან ჯ აღარ იხმარება:

გულსმოდგინებაა შენი—გულსმოდგინება შენი,

განჯდა ჯმაა—განჯდა ხმა,

ქადაგებაა და ქადაგება და ა. შ.

გამოცემული ტექსტის ზოგიერთი თავისებურებანი:

1. გვხვდება უძველესი გრამატიკული ფორმები. მაგ.: პირდაპირი დამატება წრფელობით ბრუნვაშია დასმული:

„ვინაჲცა იუსტიანიანე ტაძარ წისა ღისმშობლისაჲ აღაშენა აფხაზეთს შინა“ (11<sub>13</sub>)

„რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი მსახურ სამეუფოჲსა საწოლისა, რომელთა საჭურის იცის წოდებაჲ ჩუშულებამან“ (11<sub>11</sub>).

2. ძველი ქართული ენის ნორმები დარღვეულია:

ა) საკუთარი სახელების ნათესაობითის ბრუნვაში ერთი „სან“-ის ნაცვლად ორი „სან“-ია წარმოდგენილი, მაგ.:

„რაქამს წყლებსაებრ დავითისსა ყოველსა ქუეყანასა განვლავმად მათი“ (4<sub>2</sub>).

„პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა“ (9<sub>2</sub>) და სხვ.

ბ) „თანა“ თანდებულთან „ვინ“ ჯგუფის სახელი ზოგჯერ ნაცვლად ნათესაობითი ბრუნვისა მიცემითი ბრუნვის ფორმით გვხვდება. „მივიდა იგი დედაკაცსა მას თანა ღირსსა ქებისსა“ (5<sub>6</sub>)  
შეადარე: „მივიდა იგი დედაკაცისა მის თანა ღირსისა ქებისა“.

„მივიდოდა მოციქულად ბასილის თანა ბერძენთაჲსა“ (10<sub>5</sub>).

გ) ჩავარდნილია ა:

„ეპისკოპოსთაგან ველნი დაესხმოდინ ჟამდ-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისსა“ (9<sub>11</sub>), უ. ი. ქართლისსა.

დ) უმარცვლო „უ“-ს შემდეგ „ფ“-ს ნაცვლად გვხვდება „ქ“:  
„და ღირსსა მას საკვრველებისსა ტყუქსა მოუტდა“ (7<sub>9</sub>)

„რაჲთა უჩუქნოს მათ სახე აღშენებადისა ტაძრისაჲ“ (7<sub>10</sub>),

„აღმოჰკუქტდეს და აშენებდეს“ (7<sub>14</sub>).

ე) უმარცვლო „უ“ ხშირად ქცეულია „ვინ“-ად:

ჩუენი—ჩვენი

ქართუელი—ქართველი და ა. შ.

ვ) აღ—ზმნისწინი ზოგჯერ გამარტივებულია „ა“-დ, აღშენებული, აღაშენა, მაგრამ აშენებდეს:

„ეკლესია იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული“ (8<sub>15</sub>)

„ხოლო იგინი აღმოჰკუქტდეს და აშენებდეს“ (7<sub>14</sub>).

4. შიგადაშიგ გვხვდება ახალი ფორმებიც მაგ.:

„რომელნი ჰმსახურებენ და უმსახურებია წრისა მაგის ეკლესიისადა (12<sub>13</sub>).

ტექსტი

[145 v a] უწყებაა მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელ-  
თა წიგნთა შინა მოიხსენებოს.\*

სულიერსა მიმასა ჩუნისა და პატრიოსანსა ეკლესიარხსა ჩუნ  
ქართველთასა, მღღელსა უფლისასა იოანეს კვრიკესსა<sup>1</sup> ყოვლად  
მცირე და უღირსი სახისა და სახელისაჲ ეფრემ მონაზონი<sup>2</sup> თა- 5  
ყუანის-ცემით მოგიკითხავ.

ვინაჲთაჲ მადლითა ღმრთისაჲთა სრულ იქმნა გულსმოღ-  
გინებაჲ შენი წიგნისა ამისთჳს სადღესასწაულოჲსა, რომელი შენ  
იწროებასა შინა ჟამთასა უხუცებით განვრცომითა გონებისაჲთა  
მოუგე საზოგადოსა მაგას ნიჭსა ნათესავისა ჩუნისასა ეკლესიასა 10  
წმიდისა სჳმეონ საკვრველთმოქმედისასა\*\*, რომელი ვითარცა სა-  
წყაული კეთილი და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისაჲ ქეშმარი-  
ტებით წმიდად მოდად\*\*\*) სახელდებულ არს, ჯერ-იყო ამისცა  
ზედა ჩემგან სრულ ყოფად ბრძანებაჲ შენი, რაჲთა წერით დაიდვას  
მას შინა მოსაქსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუნისაჲ და თუ რომ 15  
მელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ქსენებულ არს იგი, უკმდეს  
თუ ვისმე გამომეძიებულთაგანსა ცნობად.

\* მინაწერი კიდებზე: „უწყოდე, რამეთუ ამის [საკი]თხავისა [მიზეზია] იოანე.  
და იოანე რაჲ გესმეს, მთავარაჲს ძე, რამეთუ ნეტარისა ეფრემის თარგმანობისა  
ჟამთა შავსა მთასა დახუდა და ესრე შეუდგა თარგმანობისათჳს, რომელ თჳნიერ  
მცირედთა წიგნთაჲსა ყოველინე მან ათარგმნინა მისითა საჭმრითა და წარსა-  
გებელითა, ვითარცა ყოველთა საკითხავთა ბოლოსა თუთ აღიარებს სანატრელი  
ეფრემ. ხოლო მე ესე სადღესასწაულოჲსაგან გარდავწერე“.

\*\* მინაწერი: „სჳმეონ წმიდისა იტყჳს არა ყოველსა ქართველთა ეკლესიასა“.

\*\*\* მინაწერი: „შეისწავე, რამეთუ ბერძენნი არა თორენდ, არამედ წმიდად  
მოდად უწოდენ წმიდა ეკლესიასა ჩუნე ქართველთასა“.

<sup>1</sup> ქართველთა მონასტრების ეკლესიარხი შავ მთაზე გჳთუნის მოღვაწეთა  
იმ რიცხვს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ უცხოეთში ქართველების ლიტურატუ-  
რულ მოღვაწეობას. აძღვედნენ დავალებებს და ეხმარებოდნენ საფასურით. კერ-  
ძოდ ეფრემ მცირისათვის მას მრავალი წიგნი უთარგმნინებია.

<sup>2</sup> იგივე ეფრემ მცირე.





საცნაურ იყავნ, ვითარმედ მიერვე ქადაგებითგან წმიდათა მოციქულთაჲთ, რაჟამს, წინაწარმეტყუელებისაებრ დაჯიჲთოსნა, „ყოველსა ქუეყანასა განჯდა ჳმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“, <sup>1</sup>ერთად კიდეთა ამითგანად ითქუმის ჩუენთჳსცა მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა <sup>2</sup> მიერ ქადაგებაჲ შორის ავაზგიაჲსა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვლაჲ ოსეთად და კულად ბართლომეს <sup>3</sup> მიერ მიმოვლაჲ ჩრდილოეთისაჲ [145 v b], რომელ არს ქართლი.]

გარნა ამით წმიდათა სამოციქულონი მოძღუარებისა თესლთა ანეულნი მრავალ ჟამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან არა ხოლო ჩუენ შორის, არამედ თუთ მათ ბერძენთაცა შორის, ვიდრე ჟამთადმდე მეორედ პავლედ ჳეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა. ამის კეთილად მსახურისა მეფისა ჟამთა ღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალთესლთა ტომთათჳს იზრუნა, არცა ჩუენ მცირენი დაგვტევნა უღუაწად, არამედ ესრეთ განაგო კულად აღმოწოდებაჲ ჩუენი, ვითარცა მოივსენებს თეოდორიტე <sup>4</sup> საეკლესიოჲსა მოთხრობისა წიგნსა შინა თჳსსა ოცდამეოთხესა თავსა და იტყჳს ესრეთ:

„ზინდოთა უკუშ<sup>1</sup> ფრუმენტიოს <sup>5</sup> მომყვანებელ ექმნა ღმრთის მეცნეერებად, ხოლო ქართველთა მათვე ჟამთა შინა დედაკაცი ვინმე, ტყუშქმნული ჳეშმარიტებისა მიმართ, წინამძღუარ ექმნა, რომელი-იგი სამარადისოჲსა ლოცვისადა შემშუალულ იყო და ლბილ სარეცელ თჳსსა აქუნდა ძაძაჲ დარეცილ იატაკსა ჳედა მიწისასა, ხოლო უმეტეს ყოველთა შუშბათასა შეიტკობოდა მარ-

[4<sub>19</sub>—8<sub>7</sub>]\* Ἰνδῶν μὲν οὖν ὁ Φρουμέντιος πρὸς θεογονίαν ἐγένετο ποιηγὸς.\* Ἰβήρας δὲ κατὰ τὸν αὐτὸν χρόνον γυνήθωραλάτωτος πρὸς τῆν ἀλήθειαν ἐξενάγησεν. αὐτῆ γὰρ προσεσχῆ μὲν ἐχρηῆτο διηγεσθαι, εὐνήθω δὲ ἦν αὐτῆ καὶ σπρამῆ μᾶλακῆ σάκχιος ἐπὶ τοῖς δεσπέδοις κα-  
 φηπλάμενοις, τρσφῆν δὲ ἄκραν τῆν νηστειῶν ἐνόμυζεν. οὐτοις ὁ πόνος

<sup>1</sup> ფსალმუნი 18,4 (1873 წ. გამოცემა).  
<sup>2</sup> წმიდა მოციქული, ძმა პეტრე მოციქულისა, ქრისტიანობა უქადაგებია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით.  
<sup>3</sup> ერთ-ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, ქრისტიანობა უქადაგებია არაბეთსა და სომხეთში. \* ბერძენი ისტორიკოსი V საუკუნისა.  
<sup>4</sup> წმიდანი, აკსუმის პირველი ეპისკოპოსი.

\* Theodoret, Kirchengeschichte. Herausgegeben von L. Parmentier, Leipzig, 1911, გვ. 74—76.



ხვასა, ვინაჲცა ამათ შრომათა მიანიჭეს მას მადლი მოციქულობისაჲ. ხოლო ვინაჲთგან ნათესავნი იგი არა რას მეცნიერ იყვნეს კერძოვნებასა მკურნალობისასა, ამისთჳს მიმოვიდოდიან ხილვად სნეულთა და თჳსთა მათ უძლურთა ხილვისაგან და სნეულებათა მათთა კურნებისა გამოცდილებით ისწავებდეს სახესა კურნებისასა. 5

იყო ვინმე დედაკაცი, რომლისა ძე სნეულ იყო და მისძლით მივიდა იგი დედაკაცსა მას თანა ღირსსა ქებისსა და იკ[146ra]-თხვიდა მისგან, თუ რაჲ უღირს ყოფად მისსა. ხოლო ღირსმან მან მიიყვანა ყრმაჲ იგი უძლური და მიაწვინა თჳსსა მას ზედა ცხე-  
დარსა მოლუაწებისასა და ევედრებოდა შემოქმედსა ყოველთასა 10  
მოხედვად მისსა და ჳსნად უძლურებისაგან. ხოლო უფალმან ვედ-  
რებაჲ მისი მიითჳლა და მიანიჭა უძლურსა მას სიმრთელე.

ამიერ საკვრველი იგი დედაკაცი მრავალ განთქუმულ იქმნა, ვიდრელა არცა თუ მეუღლესა მეფისასა<sup>1</sup> დაეთარა მისთჳს, არამედ მყის მიუწოდა მას, რაჲთა მივიდეს მისსა, რამეთუ იგიცა ბორო-  
ტითა ვნებითა შეპყრობილ იყო. ხოლო ღირსმან მან სიმდაბლისა 15  
სიბრძნისა ჳუმევეთა არა მიითჳლა ვედრებაჲ იგი დედოფლისაჲ. გარნა დედოფალმან იძულებულმან სავმარებითა საქმისაჲთა არა გულად-ილო პატივი დედოფლობისაჲ, არამედ თვთ მიისწრაფა ტყუჳქმნულისა მის. ხოლო მან კჳლად იგიცა თჳსსავე მას მიაწვი- 20

των αποστολικων αυτη μεταδεστικε χαρακτηριστων. επειδη γαρ οι βαρ-  
βαροι της ιατρικης σπανιζοντες επιστημης ειςθασιν αρρωστουντες  
προς αλληλους φοιταν, και παρη των ηδη νεοσηκωτων και της αρ-  
ρωστίας απαλλαγεντων μανθανειν της υγείας τον τροπον, αφικετο τις  
γυνη προς την αξιειπαινον ανθρωπον παιδιον αρρωστον εχουσα και  
μαθειν το πρακτεον αντιβολουσα. η δε τουτο λαβουσα και εις την ευ-  
νην κατακλινασα, εκετευε τον των ελων δημιουργον νευσαι και λουσαι  
την νοσον· ο δε την εκετειαν δεξαμενος παρεσχε την υγειαν. εντευθεν  
η θαυμασια γυνη πολυμυρνητος γεγονεν. ουδε γαρ την του βασιλεως  
εμοδωγα το γεγεννημενον διελαθε, παραυτικα δε αυτην μετεπεμψατο.  
υπο τινος γαρ και αυτη χαλεπου κατειχετο παθους· η δε μετριω  
κεχρημενη φρονιματι της βασιλιδος την αιτησιν ουκ εδεξατο· αλλ'  
υπο της χρειας εκεινη βιαζομενη την βασιλικην αξιαν εις νουν λαβειν  
ουκ ημελησεν, αλλ' αυτη προς την δορυαλωτον εδραμεν. η δε παλιν επι

<sup>1</sup> აქ იგულისხმება ქართველთა მეფე მირიანი და მისა მეუღლე ნანა.



5 ნა სიმდაბლისა სარეცელსა და წამლად უბრძოლელად ვნებასა ზედა მოიპოვა ლოცვაჲ. მაშინ დედოფალმან ინება მინიჭებად მის-  
სა სასყიდელსა კურნებისასა, რაოდენი-რაჲ თვთ ღირს მოგებისა  
საგონებელ უჩნდა, ოქროჲ და ვეცხლი, შესამოსლები და სამკაული  
და ყოველივე რაოდენი-რაჲ არს ნიჭი სამეუფოჲსა პატივის მოყუა-  
რებისაჲ.

10 ხოლო საღმრთომან მან დედაკაცმან ჰრქუა: ამათგანი არაჲ  
მივმს მე, გარნა დიდად სასყიდლად კურნებისა შევჰრაცხ შენსა  
ღმრთოს მსახურებისასა და ჰლოცვიდა, რაჲთა სა-  
ღმრთოჲ ტაძარი აღჰმართოს მაცხოვრებელისა მისისა ქრისტესთჲს.  
ესე რაჲ ესმა დედოფალსა წარ[146r b]ვიდა იგი მეფისა და თავისა  
მიერ თჲსისა განაკურვა მეუღლე თჲსი მეყსა შინა განკურნებითა  
თჲსითა. ამისსა შემდგომად განუცხადა მას ძლიერებაჲ ღმრთისაჲ  
რომელი იმსახურებოდა ტყჲსა მისგან და ჰლოცვიდა ქმარსა  
15 თჲსსა, რაჲთა იგი ნხოლოჲ იცნას ღმრთად და აღუშენოს მას  
ტაძარი სალოცველი. და ესრეთ ამის კურნებისა მიერ იქმნა შეც-  
ვალებაჲ ქართველთა ნათესავისაჲ. ხოლო მეფე მეუღლესა თჲსსა  
ზედა ქმნილისა მისგან კურნებისა განკურვებულ იქმნა, გარნა  
ეგრეთცა არა ინება აღშენებაჲ ტაძრისა საუფლოსაჲ.

20 ამისსა შემდგომად მცირედნი რაჲ ეამნი წარჲდეს, განვიდა

τῆς εὐτελοῦς εὐνῆς αὐτὴν κατακλίνασα φάρμακον ἀλεξίκακον προσ-  
ενήνοχε τῷ πάθει τὴν προσευχὴν ἢ δὲ βασιλῆς τῆς θεραπείας μισθὸν  
προσεκόμῳζεν ὄν νόμιζεν ἀξιώκτητον, χρυσὸν καὶ ἀργυρὸν καὶ χιτῶνας  
καὶ ἀμπεχόννας καὶ ὅσα τῆς βασιλικῆς ἔσται δῶρα φιλοτιμίας. ἢ δὲ θεία  
γυνὴ τούτων ἕφη μὴ δεῖσθαι, μέγαν δὲ ἠγεῖσθαι μισθὸν τὴν τῆς εὐ-  
σεβείας ἐπίγνωσιν καὶ προσέφερον, ὡς ἐνήν, τὰ θεία παιδεύματα, καὶ  
θεῖον ἀνεγείραι παρεγγυᾷ νεῶν τῷ σεσωκῶτι Χριστῷ. τούτων ἐκείνη  
ἀκούσασα κατέλαβε τὰ βασίλεια. καὶ παραυτίκα μὲν ἐξέπληξε τὸν  
ὀμόδῳγα τῷ συντόμῳ τῆς θεραπείας· εἶτα τοῦ τῆς ἀίχμαλῶτου τὴν  
δύναμιν ἐδήλου καὶ παρεκάλει τοῦτον μόνον εἰδέναι θεὸν καὶ νεῶν  
αὐτῷ κατασκευάσαι καὶ ἅπαν εἰς τὴν τούτου θεραπείαν μεταθεῖναι  
τὸ ἕθνος. ὁ δὲ τὸ μὲν εἰς τὴν ὀμόδῳγα θάψιμα γεγεννημένον εὐφῆμει,  
τὸν δὲ νεῶν οὐκ ἤθελε δεῖμασθαι.

Ὁλίγου δὲ διεκλήθητος χρόνου, αὐτὸς μὲν εἰς μήραν ἐξῆλθεν.



იგი ნაღირობად. ხოლო ~~კ~~კაცთმოყუარემან მეუფემან მსგავსად ჰქმნულს<sup>1</sup> ლესსა<sup>1</sup> მოინადირა იგი, რამეთუ მეყსა შინა ბნელმან რამან<sup>1</sup> მოიცვა იგი და არა უტევებდა მას უშორესად ვინავე წარსლვად. ხოლო თანა-მონადირენი იგი მისნი ჩუშულებისაებრსა მას ხედვი-  
დეს შარავანდელსა მზისასა და იგი ოდენ მხოლოდ დაშთომილ იყო შეკრულად საკრველითა ვერმხედველობისაათა და ესევეთარსა რაჲ უღონობასა შინა იყო, პოვა ღონე ცხოვრებისაჲ, რამეთუ მყის გულისგმა-ყო ბრაღი ურწმუნოებისა თვისსაჲ და ტყუჴქმნუ-  
ლისა მის დედაკაცისა ღმერთსა ხადა შემწედ და ღირსსა მას საკრველებისასა ტყუჴსა მოუტდა და ჰლოცვიდა მას~~რ~~რაჲთა უჩუ-  
შნოს მათ სახე აღშენებადისა ტაძრისაჲ. ხოლო რომელმან იგი აღავსო ბესელიელ სიბრძნითა ხუროთმოძღურებისაათა, ესეცა მასვე ღირს ყო მადლსა ვიდრემდის საღმრთოჲ დაუსახა მათ ტა-  
ძარი. [146v a] და იგი დაჰსახვიდა, ხოლო იგინი აღმოჰკუჴთდეს და აშენებდეს.

ვინაჲთგან უკუჴ სრულ იქმნა აღშენებაჲ და სართული ვანე-  
მართა და მხოლოდ მღდელილა საძიებელ იყო, პოვა ამისცა ღონე საკრველმან მან დედაკაცმან და აზრახა მთავარსა ნათესავთასა, რაჲთა მიუვლინოს მოციქული მეფესა ბერძენთასა და ითხოოს მისგან მივლინებად მოძღუარი ღმრთის მსახურებისაჲ. და მან

ὁ δὲ φιλόσοφος αὐτὸν δεσπότης κατὰ τὸν Πάυλον ἐμήρευσε. ζῶφος γὰρ αὐτῷ ἐξ᾿ἀπίνης προσηπαῶν οὐκ εἶα περαιτέρω προβαίνειν. καὶ οἱ μὲν συνθηρεύοντες τῆς ἀκτίως συνήθης ἀπήλασον, ὁὗτος δὲ μόνος ἀποληφθεὶς τοῖς τῆς ἀορασίας ἐπεδητή δεσμοῖς· ἐν ἀπορίᾳ δὲ ἂν πόρον εὗρε τῆς σωτηρίας. εὐθύς γὰρ εἰς νοῦν τὴν ἀπίθειαν λαβὼν καὶ τὸν τῆς αἰχμαλῶτου θεὸν καλέσας ἐπίκουρον, ἀπηλλάγη τοῦ ζῶφου. καὶ τὴν ἀξιάγαστον ἐκείνην καταλαβὼν δορυλάτων, παρεκάλει δεῖξαι τῆς οἰκοδομίας τὸ σχῆμα. ὁ δὲ τὸν Βεσελεὴλ τῆς ἀρχιτεκτονικῆς σοφίας ἐμπλήσας καὶ ταύτην ἠξίωσε χάριτος· ὥστε τὸν θεῖον διαγράψαι νεών. καὶ ἡ μὲν διέγραψεν, οἱ δὲ ὤρυττον τε καὶ ἠκοδόμουν. ἐπειδὴ δὲ ἐτελέσθη τὸ οἰκοδόμημα καὶ ὁ ὄροφος ἐπετέθη καὶ μόνων ἐδείτο τῶν ἱερῶν, εὗρε καὶ τοῦτον πόρον ἢ θαυμασία γυνή· ἔπεισε γὰρ τὸν τοῦ ἔθνους ἠγούμενον πρὸς τὸν Ῥωμαίων πρεσβῦσασαθαι βασιλέα καὶ ἀντήσασαθαι πεμφθῆναι σφίσι δι-

<sup>1</sup> მოციქული, I საუკუნის ყველაზე დიდი მოქალაქე ქრისტიანობისა.



მიიღო რაჲ მცნებაჲ ესე მისგან, მოციქული წარავლინა, ხოლო მეფემან ისწავა რაჲ მიზეზი სათხოველისაჲ (რამეთუ კოსტანტინე იყო მჭურვალედ ტრფიალი ღმრთის მსახურებისაჲ) რომელმან-იგი ფრიადსა პატრისა ღირს ყვნა მივლინებულნი იგი მისსა და კაცი ვინმე საარწმუნოებითა და ცხოვრებითა და გულსკმის-ყოფითა შემკობილი, ღირს ქმნული მღვდელთ მთავრობისაჲ, ქადაგად მოუვლინა ნათესავთა მათ უფროჲსლა ფრიად მრავლთა ნიჭითა“.

ამას უკუშ თეოდორიტე ესოდენ მოიკსენებს, ხოლო სხუათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყჳსაჲ მის ჩუენ ტყუშთა მგსნელისაჲ, რამეთუ ბერძულად ნონნა უწოდენ წმიდასა ამას, რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალებით-რე ნინოდ სახელ ესდებთ.

ევგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაჲ ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თუთ ეესტათი იყო ანტიოქელ პატრიაქი,<sup>1</sup> რომელმან დაამყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარ ეპისკოპ[146v ხ]ოსი. ხოლო მეფემან ქართველთამან და ყოველთა მთავართა მისთა დაუწყეს პატრიაქსა ანტიოქიისასა მოსასყიდელად ნივთთა წმიდისა მიპრონისათა აგარაკები ათასი კუამლი ქუეყანისაგან ქართველთაჲსა, რაჲთა საფასოჲ შემოსავალთა მათთაჲ იყოს ფას ნივთთა მიპრონისათა, რამეთუ მათ ჟამთა არასადა სხუაგან წმიდა იქმნებოდა მიპრონი თჳნიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფოდა ყოველთა.

ამიერ იცნობების ჟამი მოქცევისაჲ და ვითარმედ ანტიოქისა საყდრისა მომდგომ იყვნეს და მიერ გელთ-დასხმულ იქმნებოდეს ქართლისა კათალიკოზნი, ხოლო თუ ოდეს იწყეს თუთ გელთ-დასხმად და ვითარმედ არა თჳნიერ წესისა და ბრძანებისა, ესე ვიპოეთ ხრონოლორაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა, რომელი იტყჳს ესრეთ:

ὁ ἀσχαλιον εὐσεβείας. ὁ μὲν οὖν δεξιόμενος τῆν εἰσῆγησιν τοὺς πρεσβυσομένους ἐξέπεμψεν· ὁ δὲ βασιλεὺς, τῆς αἰτήσεως τῆν αἰτίαν μαθὼν (Κωνσταντίνος δὲ ἦν ὁ τῆς εὐσεβείας μερμύτατος ἐραστής), φιλοφροσύνης μὲν παμπόλλης τοὺς πρέσβεις ἤξιωσεν, ἄνδρα δὲ πίστει καὶ σὺνέσει καὶ βίῳ κοσμιότατον καὶ τῆς ἀρχιερωσύνης ἤξιωμένον κήρυκα τῷ ἔθνει· τῆς θεογιοσῆς ἐξέπεμψε μετὰ δῶρων ὅτι μάλιστα πλείστων.

<sup>1</sup> მოლვაწეობდა IV საუკუნეში.



„დღეთა კოსტანტინე სკორის<sup>1</sup> მოსახელისათა, ანტიოქიას პატრიაქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა<sup>2</sup>, მოვიდეს ქართლელთა მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფლაქტეს, ვითარმედ დიდსა ჳირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი<sup>3</sup> 5 მღღელ-მოწამისა ანტიოქელ პატრიაქისა არა კურთხეულ არს მათდა კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათჳს გზისა, რამეთუ აგარიანთავან ვერვინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჳკობითა კრებისაჲთა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თჳსთა თანა მისცა ქართ[1477a]ველთა პროტრეპტიკონი, 10 რომელ არს განჯსნი, რაჲთა თჳთ მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ჳელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათოლიკოსსა ქართლის[ა]სა, რაჲცა საღმრთომან მადლმან უჩუქნოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაჲთა წესთაებრ საეკლესიოთა. და შეუქმნა მათ აღწე- 15 რით მოსაჯენებელი თავისა თჳსისათჳს და მუნ შემოკრებულისა კრებისათჳს, და ჳელთ-დასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა.

[9<sub>1</sub>—10<sub>13</sub>]\* Яко при Костянтине Царе Копрониме, Патриарху сущу блаженному Феофилакту, Яко в нужди суть христиане сел Иверских, не имуща съборнаго Епископа, от дний блаженнаго Анастасия священномученика Патриарха Антиохинскаго не поставлен бысть им Архиепископ съборный, остроты ради путныя, и за ежъ не смети кому Агарян ради мимо ходити. И сборным судом своим Митрополит, и Архиепископ и Епископ, повелительное писание дасть Ивиром, поставлятись от Епископ предела его, иж в дни тыя, съборному Архиепископу Иверьскому. По еж быти избранию от них, и сътворити и жребий и по жребию, идеже божественная благодать объявить поставитъ того по церковному устаоу; и сътворша написание въспоминание о том спешдйся съборъ и замечательвъ дасть им, и постави единаго от единаго от обою посланню мниху Ивана именем. Бяху же села Патриархови в

<sup>1</sup> ბიზანტიის მეფე 741—775 წწ.  
<sup>2</sup> პატრიარქობდა 744—751 წწ. \* პატრიარქობდა 561—599 წწ.

\* რუსული ტექსტი გადმობეჭდილია კრებულიდან—Православный палестинский сборник, 16-й выпуск, СПб, 1889, გვ. 47—48.



და ზემო ქსენებულისა მის წილ ათასისა კუანლისა დაუწესა მათ, რაჲთა წლითიწლად მოსცემდენ ჟამად-ჟამადთა პატრიარქსა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა, რომელი-იგი მოეცემოდა ვიდრე დღეთამდე იოანე წმიდისა პატრიარქისათა. რამეთუ მან ანიჭა იგი 5 ორესტის წმიდასა პატრიარქსა იმრუსალიმისასა, რომელი მივიდოდა მოციქულად ბასილის თანა მეფისა ბერძენთაჲსა, რაჲთა მისსა საყდარსა მიეცემოდის ქართველთა მიერ. და მიერ დღითგან დაეწესა, რაჲთა მოკსენებჲა ოდენ სახელისაჲ აქუნდეს ქართველთა შორის ანტიოქელსა პატრიარქსა. და უკეთუ ოდესმე გამოჩნდეს 10 წვალებჲაჲ, მაშინლა მიავლინებდეს მუნ ექსარხოხსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ცთომათა სულიერთა, ვითარ-იგი ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა წარივლინა ბასილი დრამატიკოსი [147r] წვალებისათჳს აქაკთაჲსა“. და

აქა დაგვშთა საძიებელი მრწავლთაჲ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევჲა მიპრონისაჲ და ამისდა ცნობად მრავალ ჟამ 15 ვდროებდ აღწერად ბრძანებულსა ჩემდა შენ მიერ მოსაქსენებელსა ამას. და ესოდენ ვპოე საზოგადოდ ყოველთათჳს, ვითარმედ ქალკილონისა კრებასა ესმა, რომელ სიძურისათჳს ფასით ჰყიდდეს მიპრონსა, ამისთჳს ბრძანეს წმიდათა მამათა, რაჲთა არა სოლო 20 ანტიოქიას, არამედ სხუათაჲცა ეკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდეს მიპრონი. ხოლო თჳსაგან ქართველთაჲ საგონებელ არს, ვითარმედ სიმორისათჳს გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ვმელით ანტიოქიით ქართლს წარღებჲა წმიდისა მიპრონისაჲ, ამისთჳს თჳთ ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევჲა 25 მიპრონისაჲ.

